

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

ვახტანგ ნადარეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ჩვენი დაშვების თანახმად, დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობა“ დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნია ისევე, როგორც „ათითუდი“, „პიროვნული ნიშანი“ და „ფიქსირებული განწყობა“. სიტუაციური განწყობა ფიქსირებული დისპოზიციის ფორმირების საფუძველია და ასევე - პირიქითაც, ფიქსირებული დისპოზიციის არსებობის შემთხვევაში მისი შემდგომი დიფერენციაციის სტადიას და პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს.

სიტუაციური განწყობის მეშვეობით წარმოებს ფიქსირებული დისპოზიციების ქცევაში რეალიზაცია, რისთვისაც ის ორგანიზებას ახდენს და აერთიანებს დისპოზიციის არსებულ სტრუქტურულ კომპონენტებს და კონკრეტული მომენტის აქტუალურ მოცემულობას. იმავდროულად, სიტუაციური განწყობის მეშვეობით ქცევაში რეალიზაციის წარმატებული გამოცდილება აუმჯობესებს დისპოზიციური განწყობის მაჩვენებლებს (ნადირაშვილი, 1985) და ზრდის მისი მონაწილეობით წარმოებული ადაპტაციის ეფექტურობას.

ფსიქიკური აქტივობის მაღალ დონეებზე, ქცევის რეგულაციაში ცნობიერი რესურსი ერთვება (მოცემულ სტატიაში აქცენტი ცნობიერ რეგულაციაზე დაისმის, რაც, პირობითად, ანალიზისთვის განცალკევებულია მის საფუძვლად მდებარე არაცნობიერი განწყობისეული რეგულაციის ეტაპისგან), რომლის მონაწილეობითაც წარმოებს სოციალური ღირებულებების ინტერნალიზაცია და მათი გამოყენება ინდივიდუალური/პერსონალური განწყობების ფორმირებისთვის.

შემოთავაზებული მიდგომა საშუალებას იძლევა დადასტურდეს: ა) განწყობისეული წარმონაქმნების სხვადასხვა ფორმებისა და სახეების ორგანული კავშირი; ბ) მათი სინერჯის და ურთიერთრანსფორმაციის შესაძლებლობა; გ) აქტივობის ენერგეტიკული უზრუნველყოფის, განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშემავსებელი, მათ შორის სოციო-კულტურული წარმომავლობის (ღირებულება), წყაროების არსებობა; დ) დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობის“ ჩართვის შესაძლებლობა და აუცილებლობა „დისპოზიციების“ ეგიდის ქვეშ არსებულ საერთაშორისო თეორიულ და მეთოდოლოგიურ კონტექსტში.

მოცემული მიდგომა, ასევე, პროდუქტიულად გამოიყურება სამართლებრივი კულტურის მდგენელების - მართლშეგნების/სამართალცნობიერების და ნორმატიული ქცევის მიმართების საკითხის შემდგომი დამუშავებისთვის, როდესაც მათი ერთიანობის საფუძვლად განწყობისეული წარმონაქმნების ორი ურთიერთდაკავშირებული ფორმა - ფიქსირებული და არაფიქსირებული დისპოზიცია, ანუ, სხვა ტერმინებით, „დისპოზიციური“ და სიტუაციური განწყობა იგულისხმება.

საკვანძო სიტყვები: ასიმილაცია, ინტერიორიზაცია, ღირებულება, განწყობა, დისპოზიცია

ითვლება, რომ აქტივობის რეგულაცია ხორციელდება (ა) ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების - დისპოზიციებისა („პიროვნული ნიშანი“ და „ათითუდი“, გ. ოლპორტის მიხედვით, „ფიქსირებული განწყობა“, დ. უზნაძის მიხედვით, „დისპოზიციური განწყობა“, შ. ნადირაშვილის მიხედვით და სხვ.) და (ბ) არაფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების ერთობლივი მოქმედების საფუძველზე. ცნობილია, რომ დ. უზნაძის თეორიის ორიგინალურობა განწყობის არაფიქსირებული სიტუაციური/მომენტალური ფორმის არსებობის და აქტივობის აღძვრასა და მართვაში მისი გადამწყვეტი მნიშვნელობის დადასტურებაა.

დ. უზნაძის სიტუაციური განწყობა არ წარმოადგენს დისპოზიციას იმ ტრადიციული გაგებით, რომელიც გულისხმობს (ა) მის ფორმირებას გამოცდილების/გამორებადი ქცევის საფუძველზე, (ბ) პიროვნების განმსაზღვრელი კარდინალური განწყობების სისტემაში ჩართულობას, (გ) ქრონიკულობას ან (დ) თანდაყოლილ ბუნებას, მაგრამ დისპოზიციას იმ მნიშვნელობით, რომ (ა) წარმოადგენს აქტივობის წინარე მოცემულობას, (ბ) მოიცავს აქტივობისათვის საჭირო წინაპირობებს/შესაძლებლობებს, ასევე, (გ) აქტივობის მიმართულებას, (დ) აქტივობისთვის მზაობას და ე) მზაობის რეალიზაციის ტენდენციას.

მოცემული ტექსტი ეხება სხვადასხვა ფორმის და სახის განწყობისეული ფსიქიკური წარმონაქმნების მიმართების საკითხებს, ამიტომ მათი შედარების შესაძლებლობის შექმნის მიზნით:

1. ყველა მათგანს დისპოზიციად მოვიხსენიებთ: ეს საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ ის მოუხერხებლობა, რომელსაც ქმნის განწყობის, როგორც „ქცევისთვის ფსიქო-ფიზიკური მზაობის მდგომარეობის“ (დ. უზნაძე), ერთ-ერთი სახისთვის „დისპოზიციური განწყობის“ სახელწოდების მიკუთვნება¹. ეს განწყობის სხვა სახეობების დისპოზიციურ ბუნებას სათუოს ხდის მაშინ, როდესაც მზაობა სწორედ აქტივობამდე წინასწარ არსებული, მის საფუძველად მდებარე და აქტივობისკენ მსწრაფი ფსიქიკური მდგომარეობა/მოვლენაა. ამ გაგებით, როგორც ითქვა, სიტუაციური განწყობაც დისპოზიციას, მიუხედავად მისი მომენტალურად წარმოქმნის შესაძლებლობისა და ქცევაში რეალიზაციამდე არსებული დროის სიმცირისა;
2. იმავდროულად, განვასხვავებთ: ა) სტაციონარულ/ფარდობითად მუდმივ, ზემოქმედების ფართო დიაპაზონის და თვითაქტუალიზაციის უნარის მქონე (ნადარეიშვილი, 2010)) ფიქსირებულ დისპოზიციებს - „დისპოზიციურ განწყობებს“²;

¹ ამ ტერმინის მოცემული კონტექსტით გამოყენება შ. ნადირაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მეცნიერმა თავის გვიანდელ ნაშრომებში (ნადირაშვილი, 1985; 2001), ფაქტობრივად, თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭა დისპოზიციურ და ფიქსირებულ განწყობებს.

² ჩვენ დროებით პირობით სახელწოდებად შევიწინარჩუნებთ ამ ტერმინს, რადგან აუცილებლად მიგვაჩნია „ორდინარული“ ფიქსირებული და „დისპოზიციური“ ფიქსირებული განწყობების დიფერენცირება (ვ. ნადარეიშვილი, 2010). რაც შეეხება დ. უზნაძის მიერ „დისპოზიციური განწყობის“ ტერმინის გამოყენებას [უზნაძე, ზ.ფ. ტ. 3-4, 1964:244], ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევაში იქნება განხილული.

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

ბ) შედარებით მოკლევადიან, მოქმედების შეზღუდული სფეროს/დიაპაზონის და მხოლოდ რეაქტუალიზაციის უნარის მქონე, ფიქსირებულ დისპოზიციებს - „ორდინარულ“ ფიქსირებულ განწყობებს და გ) მოკლევადიან, ერთჯერად, კონკრეტული ვითარებების არსებობის პერიოდით შემოფარგლულ და მხოლოდ სახელდობრ მათ შესატყვის, არაფიქსირებულ დისპოზიციებს - სიტუაციურ განწყობებს.

როგორც ითქვა, შემოთავაზებული მიდგომა ათვალსაჩინოებს განწყობის სხვადასხვა ფორმის და სახის ურთიერთგარდამავლობას, მათი ფორმირების სტადიების დინამიკას და დ. უზნაძის „სიტუაციური განწყობის“ დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ზოგად კატეგორიასთან ორგანულ დაკავშირებულობას, რაც შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებებით არსებული სამეცნიერო რესურსის გაერთიანებას და კვლევითი პოტენციალის სრულ გამოყენებას.

განწყობის სხვადასხვა სახეობის მიმართების და ურთიერთტრანსფორმაციის საკითხის ანალიზისთვის განვიხილავთ (ა) დისპოზიციური ფიქსირებული განწყობის ფუნქციას სიტუაციური განწყობის ფორმირებაში და (ბ) სიტუაციური განწყობის ფუნქციას ფიქსირებული დისპოზიციური განწყობის ფორმირებაში.

სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილია მოსაზრება, რომ გარკვეული ტიპის განწყობების ფორმირებაში მონაწილეობენ უკვე არსებული ფიქსირებული განწყობები. მაგალითად, მ. ბალიაშვილის მიხედვით, „სოციალური განწყობა, როგორც ფიქსირებული განწყობის სახე, მონაწილეობს სოციალური ქცევის აქტუალურ-მომენტალური განწყობის შემუშავებაში და მოდიფიკაციას ამ პროცესში განიცდის“ (ბალიაშვილი, 1980, გვ. 96)). შ. ნადირაშვილი, მ. ბალიაშვილის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მიუთითებს, რომ „რეალური ქცევის წინ აღმოცენებული განწყობა აშუალებს ყოველგვარ დისპოზიციურ განწყობას ქცევასთან“ (ნადირაშვილი, 1985, გვ. 209-208). აღნიშნული ავტორების გარკვეული ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ყველა ტიპის (მათ შორის - დისპოზიციური) ფიქსირებული განწყობა ქცევაში რეალიზაციისთვის საჭიროებს სიტუაციურ განწყობას. გასაგებია, რომ ამ დაშვებების განსამტკიცებლად საჭიროა აღნიშნული „მონაწილეობისა“ თუ „აშუალების“ ხასიათის და შესაბამისი ფსიქოლოგიური მექანიზმების მითითება. ასევე, გასამიჯნია, (ა) ფიქსირებული განწყობის საფუძველზე, იმავე განწყობის რეალიზაციის მიზნით, მისი მოდიფიცირება სიტუაციურ განწყობად და (ბ) ფიქსირებული განწყობის რესურსის/მასალის გამოყენება პრინციპულად ახალი განწყობის შესაქმნელად.

დისპოზიციური განწყობა, თავისი სპეციფიკის, მაგალითად, წარსული გამოცდილებით შემოფარგლულობის და შინაარსობრივი ორიენტაციის უაღრესად ზოგადი ხასიათის გამო, შეუძლებელია ზუსტად თავსებადი იყოს ანმყოში არსებულ ყველა იმ (გარემოსმიერ, სიტუაციურ და შინაგან, მოთხოვნილებით) კონკრეტულ მოცემულობასთან, რომლებიც გვხვდება მუდმივად ცვალებად გარემოში ანუ შეუძლებელია, მან შეასრულოს ქცევის სრული მიზანშეწონილობის უზრუნველყოფის ფუნქცია. მართებულია და კონტექსტუალურია შ. ნადირაშვილის ის მოსაზრება, რომ „არა [არც, ვ.ნ.] ერთი ფსიქიკური წარმონაქმნი და, მათ შორის, დისპოზიციური განწყობაც, როგორც წარსული გამოცდილება, უშუალოდ, თავისთავად, არ იწვევს

ინდივიდის ქცევას. ამისათვის აუცილებელია ქცევის აქტუალური განწყობის აღმოცენება“ (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985, გვ. 214). ცხადია, „არც ერთ ფსიქიკურ წარმონაქმნად“ ფიქსირებული და არა - სიტუაციური წარმონაქმნი უნდა ვიგულისხმოთ.

საფიქრებელია, რომ მ. ბალიაშვილის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ფიქსირებული განწყობა ჩაერთვება აქტუალურ განწყობაში, უნდა ინტერპრეტირდეს, როგორც არა მთლიანად ფიქსირებულის ჩართვა სიტუაციურ განწყობაში³, არამედ ფიქსირებული განწყობის არსებული კომპონენტების გამოყენება და მათი კომბინაცია ფორმირების პროცესში მყოფი სიტუაციური განწყობის ახალ ფაქტორებთან⁴, რაც ნიშნავს ფიქსირებული განწყობის კომპონენტების ნაწილობრივ ან სრულ გამოყენებას სიტუაციური განწყობის ფაქტორებად. ასეთი განწყობა თავდაპირველად არასრულად სტრუქტურირებულ ხასიათს ატარებს, რადგან მასში ჩართული კომპონენტები ზოგადი, „დიფუზური“ ხასიათისაა და მათ (და ახალ ფაქტორებსაც) შემდგომი დიფერენციაცია, თავსებადობაში მოყვანა და მთლიანობად ორგანიზება ესაჭიროებათ. სწორედ ამ პროცესებს გულისხმობს ფიქსირებული განწყობის გამოყენებით სიტუაციური განწყობის ფორმირება და მისი მათგანიზებული ფუნქცია. წარსული გამოცდილებისა და ანმეოს მოცემულობის გაერთიანებაზე, როგორც სიტუაციური განწყობის უპირატესობაზე ფიქსირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებთან შედარებით, სამართლიანად მიუთითებს შ. ნადირაშვილი (1985). თუ ქცევის მიზანშეწონილობასა და განწყობის მიერ აქტივობის აღძვრის უნარის აღმატებული მაჩვენებლებს ვიგულისხმებთ, აღნიშნულს აუცილებლად უნდა დაემატოს სიტუაციურ განწყობაში მომავლის ასახვის შესაძლებლობა (განსხვავებით ფიქსირებული განწყობისგან), რომელსაც მოსალოდნელობის/სუბიექტური ალბათობის და მოლოდინის მონაწილეობა უზრუნველყოფს (ნადარეიშვილი, განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში, 2013).

არსებული განწყობის გამოყენებით ახალი განწყობის ფორმირების მექანიზმების შემოთავაზებული ინტერპრეტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზოგადად, სოციალიზაციის პროცესის, მათ შორის, სამართლებრივ კულტურაში შემავალი, ნორმატიული ან დევიაციური ქცევის განმსაზღვრელი, განწყობების ფორმირების საკითხების ანალიზისას (Nadareishvili & Chkheidze, 2015). განწყობის ფორმირებისთვის სხვა განწყობის გამოყენების გართულებული ვარიანტია დ. უზნაძის მიერ სხვათა მიერ შექმნილი განწყობების გამოყენების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები (უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგია, 2009, გვ. 303), რომლებსაც შ. ნადირაშვილი ითვალისწინებს მიბაძვის, იდენტიფიკაციის და სოციალური როლის ათვისების მეშვეობით განწყობების ფორმირების კანონზომიერებაზე მსჯელობისას (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985). უნდა ითქვას, რომ ისეთი განწყობა, რომელსაც აქტივობაზე მნიშვნე-

³ სპეციალურ განხილვას საჭიროებს განწყობის, როგორც არაცნობიერი მოტივის, შესახებ შ. ნადირაშვილის ვერსია (ნადირაშვილი შ. 1985).

⁴ ფაქტორები განწყობის შექმნამდე არსებული მოცემულობაა, რომელთა საფუძველზეც იქმნება განწყობა, ხოლო კომპონენტები უკვე ფორმირებული განწყობის სტრუქტურული მდგენელებია.

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

ნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია, აუცილებლად კონკრეტული სუბიექტის პერსონალური/საკუთარი შინაგანი მდგომარეობა უნდა იყოს, ამიტომ განათლებისა და სოციალიზაციის პროცესში (უზნაძე, შრომები, 1977) ასეთი ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნების მზა ფორმით და პირდაპირი გადაცემა (რასაც ნადირაშვილი და უზნაძე გვთავაზობენ) რთული ასახსნელი იქნება. როგორც ჩანს, უნდა ვისაუბროთ ზემოთ შემოთავაზებულ ვარიანტზე, როდესაც გამოიყენება არა - მთლიანად და არა - „მზა“ განწყობა, არამედ მისი კომპონენტები. გასათვალისწინებელია, რომ სხვათა, პირობითად, „საზოგადოებრივი“ განწყობის ინტერიორიზაციის საფეხურები დიფუზიური, შემდეგ - დიფერენცირებული ანუ სიტუაციური, დაბოლოს ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნის ფორმირების ეტაპებს მოიცავს.

ზემოთ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საკითხის შესახებ დაიწყო საუბარი: 1. სხვათა მიერ შექმნილი (პირობითად, სოციალური) განწყობის უშუალო/პირდაპირი ინტერიორიზების შესაძლებლობა; 2. საკუთარი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე სიტუაციური განწყობის ფორმირების მექანიზმი; 3. სხვათა მიერ შექმნილი განწყობის საფუძველზე პიროვნების საკუთარი განწყობის ფორმირების კანონზომიერება. ანალიზისთვის საჭიროა მათი პირობითი გამიჯვნა:

1. სხვათა მიერ შექმნილი განწყობების ინტერიორიზაციის საკითხის ნებისმიერი ინტერპრეტაცია უკავშირდება სხვადასხვა ფსიქიკური წარმონაქმნისა და მათი კომპონენტების თავსებადობის თემატიკას. ცნობილია, რომ თავსებადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი, ასიმილაციური, ვარიანტი გულისხმობს ახალი სიტუაციური მოცემულობის ფიქსირებულ განწყობაში არსებული მოცემულობისგან განსხვავების ნიველირებას, ან, სხვანაირად, „ასიმილაციური შეფასების მეშვეობით, შემეცნების სუბიექტი მოცემული გარემოს მახასიათებლებს „იმსგავსებს“ (ჩარკვიანი, 2019). ეს პროცესი განწყობისეული არაცნობიერი მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება და „ასიმილაციის დასაშვებ ზონაში“ მყოფ, ანუ მცირედ განსხვავებულ მოცემულობებს ეხება, რის გამოც მათი ინტერიორიზება და არსებულთან დაკავშირება პრობლემას არ წარმოადგენს. ასიმილაციის ამ კანონზომიერებებზე დაყრდნობით მიუთითებს შ. ნადირაშვილი, რომ „სოციალური განწყობის ფორმირებისთვის... პიროვნებას უნდა ჰქონდეს ფიქსირებული სოციალური განწყობები სოციალურ ფასეულობათა მიმართ“ (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985, გვ. 146). ეს დებულება პრობლემურია სხვათა განწყობების ინტერიორიზაციის შემთხვევისთვის, რადგან აღნიშნულ ინტერპრეტაციაში ახალი განწყობის ფორმირება ფიქსირებული განწყობის წინასწარ არსებობას მოითხოვს. აღნიშნულ შემთხვევაში გართულებულია არათუ სრულიად ახალი (და ამიტომ - პოტენციურად არათავსებადი), არამედ ისეთი განწყობების ინტერიორიზების ახსნაც, რომლებიც ასიმილაციის ფარგლებში ძნელად თავსდებათ. გავიმეორებთ, რომ სხვათა განწყობების ინტერნალიზაციას განვიხილავთ, როგორც სოციალური განწყობის კომპონენტების გამოყენებით საკუთარი განწყობის ფორმირებას (ანუ ადაპტაციის აკომოდაციურ ვარიანტს, რომელიც სუბიექტის ცვლილებას გულისხმობს), რაც პრობლემურია სხვათა განწყობის კომპონენტების სუბიექტის განწყობის კომპონენტებთან არათავსებადობის შემთხვევაში;

2. საკუთარი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე სიტუაციური განწყობის შექმნის საკითხის დამუშავებისთვის უაღრესად პროდუქტიულია შ. ნადირაშვილის მოსაზრება ახალი განწყობის ფორმირებისთვის „ნარსულში გაფიქსირებული იმ სოციალური განწყობების, რომლებიც პიროვნებას სოციალური ფასეულობებისადმი მისწრაფების სახით ეძლევა“, მნიშვნელობაზე (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985, გვ. 147). საკითხი ასე გამოიყურება - იქმნება ახალი სიტუაციური განწყობა ფიქსირებული განწყობის ან მისი კომპონენტების საფუძველზე, თუ, „აქტუალური⁵ განწყობის ადგილს უკვე ფიქსირებული განწყობა იკავებს, რომელსაც თან მოაქვს იმ სიტუაციების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებათა შესატყვისი ქცევითი მახასიათებელი, რომელშიც იგი გაფიქსირდა“ (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985, გვ. 214). გასაგებია, რომ უკანასკნელ ვარიანტში არსებული ფიქსირებული განწყობის და ქცევის შენარჩუნებაზეა საუბარი (რომელიც მხოლოდ ნარსული ვითარებების შესატყვისია), მით უფრო, რომ შ. ნადირაშვილი იქვე მიუთითებს, ფიქსირების მსგავსი სიტუაციის არსებობისას „ინდივიდი თავის ქცევას აქტუალურ განწყობად ქცეული ფიქსირებული განწყობის საფუძველზე ახორციელებს“ (ibidem). სწორედ ამ „ქცევის“, გარდაქმნის მექანიზმის ახსნას და ანალიზს ეხება ფიქსირებული განწყობის კომპონენტების და არა - არსებული ფიქსირებული განწყობის გამოყენების საფუძველზე ახალი სიტუაციური განწყობის ფორმირების შემოთავაზებული ვარიანტი. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა არა განწყობის მთლიანი კონსტრუქტის, რომელიც შესაძლოა სრულად არ აღმოჩნდეს ასიმილაციის ზონის ფარგლებში, არამედ მისი კომპონენტის - მისწრაფების, ტენდენციის განმსაზღვრელი მთავარი - აფექტური კომპონენტის ახალი განწყობის ფორმირებისთვის გამოყენება. აღსანიშნია, რომ სიტუაციური განწყობის კონსტრუირებისთვის გამოიყენება ფიქსირებული განწყობის ის კომპონენტები, რომლებიც, გარკვეულწილად, ეთავსება ახალი მოცემულობის მახასიათებლებს. ცნობილია, რომ ასეთ ვითარებაში ასიმილაციის განწყობისეული მექანიზმი გამართულად მუშაობს. სხვა შემთხვევაში ასიმილაციისთვის საჭირო ხდება ცნობიერი ფსიქიკური რესურსის გამოყენება, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ;

⁵ ტერმინის „აქტუალური“ გამოყენება მხოლოდ სიტუაციური განწყობის მიმართ საფიქრებელია, რომ უსაფუძვლოდ ჩამოართმევს აქტუალობის ნიშანს ფიქსირებულ განწყობას, რომელიც, აგრეთვე, შეიძლება იყოს აქტუალურ მდგომარეობაში, ანუ, როგორც ყველა ზოგადი დისპოზიცია, ზემოქმედებდეს ქცევაზე ისე, რომ არ გადაიქცეს კონკრეტული ქცევის აღმძრავ სიტუაციურ განწყობად, ანუ, ოლპორტის კლასიფიკაციის გამოყენებით, იყოს „სტილისტური“ და არა - „მამოტივირებელი“ ათითუდი (Allport, 1961). მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ გადავადებული რეალიზაციის სიტუაციური განწყობა, მიუხედავად იმისა, რომ ქცევაში არ რეალიზდება და სწორედ ამ თვალსაზრისით წარმოადგენს დისპოზიციას, თავის აქტუალობას არათუ ინარჩუნებს, არამედ, შესაძლოა, მან მზაობის/დაძაბულობის მომატებული ხარისხიც კი შეიძინოს. განწყობის ფორმების ურთიერთმონაცვლეობის საკითხის დამუშავებისას გასათვალისწინებელია იმის დაშვებაც, რომ ბლოკირებული რეალიზაციის მდგომარეობაში არსებული სიტუაციური განწყობა ფიქსირების ფაზაში შეიძლება გადავიდეს.

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური ნარმონაქმნების ურთიერთმიმართება

3. ასიმილაციის და, შესაბამისად, ინტერიორიზაციის შეუძლებლობის ზემოთ მითითებული შემთხვევა განსაკუთრებით პრობლემურია სხვათა განწყობის საფუძველზე განწყობის ფორმირებისას, როდესაც სუბიექტში არ არსებობს ფიქსირებული ფსიქიკური ნარმონაქმნი, რომელიც შექმნიდა პირობებს ახალი მოცემულობის ინტერიორიზაციისათვის ან/და იქნებოდა მატარებელი კომპონენტის, რომელიც ახლად შესაქმნელი განწყობის ფაქტორის ფუნქციას შეასრულებდა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება ინტერიორიზაციაში მონაწილე ასიმილაციის განსხვავებული მექანიზმის დაშვება.

გასაგებია, რომ მოცემული საკითხები დაკავშირებულია სოციალიზაციის პროცესთან, სახელდობრ, ნორმებისა და მათ შემადგენლობაში არსებული სოციალური ღირებულებების სუბიექტში ინტერნალიზაციის თემატიკასთან, როდესაც მათი ფსიქიკაში ასახვის/ არსებობის ფორმად დისპოზიციური განწყობები იგულისხმება (ნადარეიშვილი, განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში, 2013). როგორც ითქვა, შ. ნადირაშვილის ვერსიით, სოციალური განწყობის ფორმირებისთვის წინასწარ უნდა არსებობდეს ფიქსირებული სოციალური განწყობები სოციალურ ფასეულობათა მიმართ. ეს დაშვება სუბიექტისთვის ახალი ღირებულების საფუძველზე (რომლის ანალოგიის მატარებელი განწყობა პიროვნებაში არ არსებობს) განწყობის ფორმირების ახსნას პრობლემებს უქმნის. თავად შ. ნადირაშვილიც (ნადირაშვილი, განწყობის ფსიქოლოგია, 1985) მიუთითებს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ფსიქიკური აქტივობის ცნობიერი დონის კანონზომიერებების დამუშავების აუცილებლობაზე.

საკითხის სირთულისა და მოცემული სტატიის ფორმატის გათვალისწინებით, ცხადია, არ შევუდგებით სოციალური ღირებულებების განხილვას (იხ. მაგ. ნ. ჭავჭავაძე, 1984; დ. ბეჭვაია, 2007; ლ. სურმანიძე, 2010). „ღირებულების“ რაობის გაკვირით, ზედაპირულად მოსანიშნად უამრავი ინტერპრეტაციიდან მოვიტანთ რამდენიმეს: „ადამიანის სურვილებისა და მისწრაფებების ობიექტი [შესაძლებლის და არა სინამდვილის ფორმით მოცემულობა, ვ.ნ.]; ღირებულებათა საფუძველი ბიოფსიქოლოგიურად ინტერპრეტირებული მოთხოვნილებებია; ღირებულებებს აქვთ სარგებლიანობის და ინსტრუმენტულობის განზომილება; ღირებულება იდეალური ყოფნა/ყოფიერებაა, ნორმის ყოფიერება, ღირებულებები იდეალური საგნებია, რომლებიც დამოუკიდებელია ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილებისგან; ღირებულების, როგორც ნორმის, არსებობის ფორმა, მისი სუბიექტისთვის მნიშვნელოვნება“ (ფ.ჟ.ც., 1989, გვ. 732); „ღირებულებებს ანთროპოლოგები, გარკვეული თვალსაზრისით, საზოგადოებისა და პიროვნების გადაკვეთის წერტილად გაიზრებენ, ხოლო როცა ღირებულება ინტერპრეტირდება პიროვნების კვინტესენციად, წინა პლანზე ღირებულებითი ორიენტაციების ცნება ინაცვლებს. ეს უკანასკნელი, გააზრებული, როგორც კოგნიტიური, შეფასებითი და სხვა კომპონენტებიდან ამოზრდილი, მკაცრად განსაზღვრული პრინციპების კომპლექსი, კ. კლაკჰონის განსაზღვრებით, წარმოადგენს ადამიანთა ქცევის განმაპირობებელ, განზოგადებულ კონცეფციას...“ (სურმანიძე, 2010, გვ. 91). „არსებული ტრადიციით (C. Kluckhohn), ღირებულებებისგან, როგორც მოტივაციის ასპექტისგან, ასხვავებენ ღირებულებით ორიენტაციებს, როგორც ღირებულებების სუბიექტურ კონცეფციებს ან ათითუდების (სოციალური

განწყობების) ნაირსახეობას..., რომლებიც სოციალიზაციის პროცესში ყალიბდებიან საზოგადოებრივი ღირებულებების შეთვისების მეშვეობით“ (Психологический лексикон, 2006).

საკითხი, თუ რამდენად წარმოადგენენ ღირებულებითი ორიენტაციები ათითუდებს და რამდენად აქვთ მათ ქცევის აღძვრის უნარი, სხვასთან ერთად, მათი კონატიური კომპონენტის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, რასაც ცალკე გამოკვლევა დაეთმობა. მოცემულ ტექსტში ათითუდების/ფიქსირებული განწყობების აღმძრავი უნარი მათ საფუძველზე სიტუაციური განწყობის ფორმირების შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული.

თუ ღირებულებებს მოტივაციის კონტექსტში განვიხილავთ, შესაძლოა, მოტივაციის პროცესის ფუნქცია, ერთ-ერთი ასპექტით, ინდივიდუალურის და სოციალურის (ფასეულობის და ღირებულების, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე არაჰომოგენურია) „ხელოვნურად“, აზროვნებისა და ნებელობითი ძალისხმევის გამოყენებით, „ერთმნიშვნელიანებაში“, სუბიექტურ მიმსგავსებაში, ურთიერთასიმილერების შესაძლებლობის შექმნაში დავინახოთ. აღნიშნული პროცესი მათ (გარეგანის და შინაგანის) გაერთიანებასა და კომბინირებული წარმონაქმნის - მოტივის შექმნას ხდის შესაძლებელს (წინააღმდეგ შემთხვევაში, ინდივიდუალურის და სოციალურის არასრული თავსებადობის ან დაპირისპირებულობის გამო, განწყობის შექმნა და ქცევის აღძვრა პრობლემატური გახდება), რაც საბოლოოდ განწყობის ფორმირებას უზრუნველყოფს⁶. აღწერილი კომბინაცია ახალ წარმონაქმნს, გარკვეულწილად, თავსებადს ხდის პიროვნების ფასეულობების მატარებელი განწყობების სისტემასთან და ამით მისი ასიმილაციის შესაძლებლობას იძლევა, რაც სუბიექტის განწყობათა სისტემაში ჩართვას/ინტერიორიზაციას და მათი ენერგეტიკის/აღმძრავი პოტენციალის ღირებულებაზე განვრცობას უზრუნველყოფს. შემდგომში, ღირებულებისთვის ინდივიდუალური/პერსონალური ვალენტობის მინიჭების კვალობაზე სისტემა ღირებულებიდან დამატებითი ენერგეტიკის მიღების შესაძლებლობას იძენს.

არსებული მასალის დ. ლეონტიევისეული ინტერპრეტაციით, ღირებულებები არსებობს სამი ურთიერთგარდამავალი ფორმით: 1) „საზოგადოებრივი იდეალები, რომლებიც გამომუშავებულია საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ და მასში არსებული განზოგადებული წარმოდგენები სრულყოფილობაზე, 2) ამ იდეალების საგნობრივი ხორცშესხმა კონკრეტული ადამიანების ქმედებაში ან ნაწარმოებში, 3) პიროვნების მოტივაციური სტრუქტურები („ჯერარსის მოდელები“), რომლებიც უბიძგებენ/აღძრავენ მას საზოგადოებრივი ღირებულებითი იდეალების საგნობრივი განხორციელებისკენ თავის საქმიანობაში“. ავტორის მიხედვით, „წარმოებს პიროვნების მიერ საზოგადოებრივი იდეალების შეთვისება, და ისინი, როგორც „ჯეროვანის/ჯერარსის მოდელები“, ინვევენ აქტივობის აღძვრისკენ მისწრაფებას, რომლის პროცესშიც ხდება მათი საგნობრივი განხორციელება“. მოტივაციის სოციოგენეზის ქრილში განხილვისას „პიროვნული ღირებულებები ინდივიდუალური მოტივაციის წყაროს

⁶ ასიმილაციის მოცემული, გართულებული ვარიანტი, პრაქტიკულად, აკომოდაციის საწყის/მოსამზადებელ სტადიას წარმოადგენს და ახალი განწყობის წარმოშობას მოასწავებს (ნადარეიშვილი, განწყობა და მოლოდინი, 1993).

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

წარმოადგენენ, რომლებიც ფუნქციონალურად მოთხოვნილებების ეკვივალენტურია“ (Леонтьев, 1998, გვ. 13-25). გასათვალისწინებელია, რომ: 1) მითითებული ავტორის შეხედულებები, ძირითადად, ემყარება მოტივის და მოტივაციის, „საქმიანობის თეორიის“ სკოლისთვის დამახასიათებელ ინტერპრეტაციას; 2) ნებისმიერი პოზიციიდან ჭვრეტისას აუცილებელია სოციალური ღირებულების ინდივიდუალურ ფსიქიკურ წარმონაქმნად (თუნდაც - „პიროვნულ ღირებულებებად“) ტრანსფორმაციის ფსიქოლოგიური პროცესის აღწერა, რაც ვცადეთ კიდევ მოცემულ ტექსტში.

როდესაც ღირებულების განხორციელებაზე ანუ რეალიზაციაზე ვმსჯელობთ: 1) ვიზიარებთ ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში დ. ლეონტიევის მიერ თავმოყრილ, ამ საკითხთან დაკავშირებულ, მოსაზრებებს; 2) ღირებულების რეალიზაციის შესახებ მსჯელობა პროდუქტიულად მიგვაჩნია სოციალური ნორმის მიმართ, სახელდობრ, რ. მერტონის შეხედულების გაზიარება. მერტონის თანახმად, ნორმა მოიცავს (ა) ღირებულებას და (ბ) მისი რეალიზაციის/ქცევის წესს (Merton, 1971). პიროვნება (მისი აქტივობა) ნორმატიულად (მერტონთან, კონფორმულად) რომ ჩაითვალოს, აუცილებელია: 1) მას სრულად ჰქონდეს შეთვისებული ღირებულება, რაც შესაბამისი დინამიკური ფსიქიკური წარმონაქმნის ფორმირებას, მასში ღირებულების ინკორპორირებასა და ფიქსირებას გულისხმობს; 2) პიროვნება უნდა ახორციელებდეს ღირებულების რეალიზაციისაკენ მიმართულ აქტივობას. ამისათვის აღნიშნული წარმონაქმნი სრულად სტრუქტურირებული, ანუ ყველა საჭირო კომპონენტის შემცველი, უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგ. წარმონაქმნის მხოლოდ კოგნიტიური კომპონენტის არსებობისას ღირებულების, როგორც სოციუმში არსებული თეორიული კონსტრუქტის, მარტოოდენ ცოდნა ქცევის აღძვრის უუნარობას ან/და ქცევის არასტაბილობას გამოიწვევს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ პიროვნების ნორმატიულობა ღირებულების შინაარსში ნაგულისხმევი ვითარებების/მოვლენების ხდომილების (შესაძლებლიდან სინამდვილედ გადაქცევის), ანუ, ღირებულების რეალიზაციის, თვითაქტივობის მეშვეობით უზრუნველყოფას გულისხმობს.

ტექსტის მოცემულ ნაწილში ღირებულებას განვიხილავთ მხოლოდ ერთ-ერთი, ჩვენი თემისთვის კონტექსტუალური, ასპექტით: ღირებულება, მრავალთათვის (ჯგუფი, ერი, კაცობრიობა) მნიშვნელოვანი საზოგადო/სოციალური კონსტრუქტია. ამ თვალსაზრისით, ის, გარკვეული პირობითობით, ვალენტობის ზოგად პოტენციალს ფლობს. აღნიშნული საზოგადო ვალენტობა ინდივიდუალურ ვალენტობათა - ფასეულობების⁷ დაჯამების და განზოგადების შედეგად წარმოიქმნება. ამ დაშვებიდან გამომდინარე, ღირებულება, გარკვეული ოდენობით⁸, მოიცავს და ეხმაურება თითო-

⁷ ფასეულობის მაჩვენებელი, ანუ მისი ვალენტობა დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებსა და, უპირველესად, სუბიექტის მოთხოვნილებების დინამიკაზე (განსხვავებით სოციალური და პიროვნული ღირებულებებისგანაც კი, რომელთა ვალენტობაც სათანადო ინტერნალიზაციის შემთხვევაში გარკვეულწილად ტრანსსიტუაციურად მდგრადია).

⁸ თუ მერტონის იმ შეხედულებას გავითვალისწინებთ, რომ ღირებულება სოციალურ ნორმაში აისახება, როგორც მისი სტრუქტურული კომპონენტი, მაშინ სოციალურ ნორმაში და, შესაბამისად, ღირებულებაში ინდივიდუალური ფასეულობის ასახვის ხარისხი საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხზეა დამოკიდებული. აქ მხოლოდ მოკლედ

ეული ინდივიდის ფასეულობებს, რისი წყალობითაც, ღირებულებები თითოეული ინდივიდისთვის გარკვეული მიმზიდველობის (მათი მატარებლის სტატუსისა და მათ შესაბამისად წარმოებული აქტივობის შედეგად მიღებული სიკეთეების ფლობის სურვილი, მათკენ მისწრაფება და ამ აქტივობის რეალიზაციის ტენდენცია) შემცველია. დამოუკიდებლად ღირებულებების ზოგადი ვალენტობა, მათში ცალკეული ინდივიდის ფასეულობების ასახვის შეზღუდულობის და ზოგადი ხასიათის გამო, შესაძლოა არ შეიცავდეს კონკრეტული ინდივიდის ქცევის აღძვრისთვის საკმარის მიმზიდველობას. მოტივაციის პროცესი, ერთ-ერთი ასპექტით, შეიძლება ღირებულების ინდივიდუალური ვალენტობის - ფასეულობის გაზრდის პროცესად ჩაითვალოს. ეს გულისხმობს განწყობის „ენერგეტიკული“ ფაქტორის (დ. უზნაძესთან - განწყობის „სუბიექტური ფაქტორი“) ხელოვნურად, ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის მონაწილეობით ფორმირებას, განსხვავებით ისეთი „ნატურალური“ სუბიექტური ფაქტორისგან, როგორც მოთხოვნილებაა. აღნიშნული „ხელთქმნილი“ ფაქტორის ფორმირება, უაღრესი გამარტივებით, შეიძლება ორი გზით მიმდინარეობდეს: 1) ღირებულების არასაკმარისი ვალენტობის/აღმძრავი უნარის დაკავშირება და დაჯამება ინდივიდში უკვე არსებული ფასეულობების ვალენტობასთან (მოტივაციის თეორიებში გავრცელებული ერთ-ერთი მიდგომა). ასეთი მიდგომა გამორიცხავს ღირებულების ინტერიორიზებას და მისი ვალენტობის ზრდას შემხვედრი/დამხვედური, სუბიექტში უკვე არსებული ფასეულობის და შესაბამისი მოთხოვნილების გარეშე; 2) ღირებულების საფუძველზე მისი შესაბამისი მოთხოვნილებისა და ფასეულობის ფორმირება. ეს უკანასკნელი გზა დაკავშირებულია ნებელობის მთლიანობითი პროცესის შემადგენლობაში შემავალი შემეცნებითი პროცესების ფუნქციონირებასთან. სახელდობრ, იგულისხმება: ა) ცოდნის შექმნა, რომ არსებობს გარკვეული, სხვათათვის მნიშვნელოვანი მოცემულობა/კონსტრუქცია და გაცნობიერება, თუ რა განსაზღვრავს მის მიმართ საზოგადო დამოკიდებულებას, ანუ რატომ მიიჩნევა ის საზოგადოდ მნიშვნელოვნად და ფასეულად (ღირებულად), ანუ რატომ აქვს მას სხვათათვის ვალენტობა; ბ) განსაზღვრა იმისა, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ღირებულების შესაბამისად წარმოებულ აქტივობას კონკრეტული მოცემული ინდივიდისთვის (ღირებულების ფასეულობის სუბიექტური შეფასება), ანუ, მისი მოსალოდნელი ღირებულების განსაზღვრა. მოცემული ვარიანტისთვის სპეციფიკურია, რომ ამ სარგებლის ან სიკეთის და მის ფლობასთან დაკავშირებული პოზიტიური შედეგის კონცეფცია გამოკვეთილი და კონკრეტიზებული მოცემულობის სახით შესაძლოა ჯერ არ არსებობდეს სუბიექტის პერსონალურ გამოცდილებაში/ფასეულობათა სისტემაში. გასაგებია, რომ საუბარია სოციალური მოცემულობის საფუძველზე ინდივიდუალური მოთხოვნილების ფორმირებაზე, რომელმაც მომავალში შესაძლოა წარმოქმნას ამ საზოგადო ღირებულების მიმართ მოთხოვნილებისეული მისწრაფებითი ტენდენცია (იხ. ქვემოთ) და რომელიც შემდგომ შესაძლოა განწყობისეულ ვალენტობად, ანუ სოციალური ღირებულება შემხვედრი სუბიექტური ვალენტობით დატვირთოს.

მივანიშნებთ, რომ სწორედ აღნიშნული ხარისხი ანუ ნორმაში ფასეულობის ასახვის მაჩვენებელი განსაზღვრავს ფსიქოლოგიური დაძაბულობის მაჩვენებელს ნორმასთან ურთიერთობისას და შესაბამისად, დევიაციისა და დანაშაულის პროვოცირების პოტენციალს/რისკს.

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

დავუბრუნდებით საზოგადოებრივი განწყობების ინტერნალიზაციის ანუ მათ საფუძველზე პერსონალური განწყობების ფორმირების საკითხს. ადრე დავეუშვით, რომ ვგულისხმობთ არა მთლიანად განწყობის, არამედ მისი ნაწილის/კომპონენტის ინტერიორიზაციას. ზემოთ, ასევე, ვმსჯელობდით ღირებულების მიერ პერსონალური ვალენტობის შექმნასა და მის ინდივიდუალურ ფასეულობად გადაქცევაზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა საზოგადო ინტერიორიზაციის პროცესი. განწყობის ფორმირების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა მისი ფორმირების სტადიურ-ეტაპობრივი ხასიათი (ნადარეიშვილი, განწყობის დიფერენციაციის საკითხები, 2016) და იმის გათვალისწინება, რომ სრულფასოვან ფიქსირებულ დისპოზიციად განწყობის ისეთი კონდიცია მიიჩნევა, რომელსაც: ა) სიტუაციური განწყობის შექმნის და მისი შუალობით აქტივობის აღძვრის პოტენციალი და ბ) ღირებულების შესაბამისი აქტივობის მუდმივი უზრუნველყოფისთვის აუცილებელი, მდგრადი, ფიქსირებული ფორმა აქვს. ასეთი განწყობა კომპონენტების სრული და თავსებადი კომპლექტის მქონე უნდა იყოს. საუბარი იყო, ასევე, სიტუაციური განწყობის სუბიექტური/აღმძრავი ფაქტორის „ხელოვნურად“ ფორმირებაზე მოტივაციის პროცესში, რაც გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მონაწილეობით მის ჩამოყალიბებას ღირებულების ენერგეტიკის გამოყენებით⁹. ითქვა, რომ სიტუაციურ განწყობას მხოლოდ ერთჯერადად შეუძლია ქცევის უზრუნველყოფა, სოციალიზაციის ამოცანა კი მუდმივად ღირებულებების საფუძველზე მოქმედი პიროვნების ფორმირებაა. გასაგებია, რომ იგულისხმება სიტუაციური განწყობის ფიქსირებულ განწყობად ჩამოყალიბების აუცილებლობა. სიტუაციური განწყობის ფაქტორები შემდგომ დიფერენციაციას უნდა დაექვემდებარონ ანუ დაზუსტდნენ, გაძლიერდნენ და განმტკიცდნენ¹⁰, რაც (ერთ-ერთი, გავრცელებული, ვერსიით) სიტუაციური განწყობის

⁹ მეთოდოლოგიური ორანზროვნების თავიდან ასაცილებლად, უნდა განსხვავდეს: ა) ფსიქიკური აქტივობის უმაღლეს დონეზე (რომელსაც მიეკუთვნება ღირებულების საფუძველზე განწყობის შექმნის აღწერილი ვარიანტი) არაცნობიერი განწყობის ფაქტორების ფორმირებაში ცნობიერი პროცესების მონაწილეობა; ბ) საკუთრივ, განწყობის პროცესი, რომელიც მოიცავს ფაქტორების ორგანიზების, თავსებადობის უზრუნველყოფისა და ერთ მთლიან წარმონაქმნად გადაქცევის არაცნობიერ პროცესს; გ) ამ პროცესის შედეგად მიღებული პროდუქტის - სხვადასხვა სახისა და ფორმის განწყობის ცნობიერობა-არაცნობიერობის და გაცნობიერებადობის საკითხი.

¹⁰ როგორც ითქვა, თავდაპირველად სიტუაციური განწყობა დიფუზიურ ხასიათს ატარებს მისი სუბიექტური ფაქტორის დიფერენცირებულობის არასაკმარისი ხარისხის გამო. მაგრამ ამგვარი ხარისხის წარმონაქმნიც საკმარისია, რომ ღირებულების შინაარსობრივი მოცემულობისკენ განწყობისეული მიმართულობის, მასზე კონცენტრაციის და მისი პერმანენტული მოცემულობის მდგომარეობა (ანუ, მოლოდინი, როგორც განწყობის ფორმირების სტადია, რომლის განმავლობაშიც, მოსალოდნელობის და მიმზიდველობის ურთიერთქმედების საფუძველზე თითოეული მათგანის მაჩვენებლების ზრდა მიმდინარეობს. (ნადარეიშვილი, განწყობა და მოლოდინი, 1993) შექმნას და ღირებულების შემდგომი ინტერიორიზაციის გაადვილებას დაედოს საფუძველად.

შესაბამისი აქტივობის პროცესში მიიღწევა. საფიქრებელია, რომ ამ პროცესში მიმდინარეობს: ა) ღირებულების მოცულობის და შინაარსის დამატებითი ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული შესაძლო დამატებითი სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიღება (დამატებითი მასალა კოგნიტიური კომპონენტის დიფერენციაციისთვის); ბ) ღირებულების ინსტრუმენტალობის, ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და სასურველი შედეგის დადგომასთან მიმართების დადასტურება (მასალა შეფასებითი და აფექტური კომპონენტების დიფერენციაციისთვის); გ) შერჩეული ქცევითი მოდელის აპრობაცია და ვარგისობის დადასტურება გაპირობების საფუძველზე (კონატური კომპონენტის დიფერენციაციისთვის). გასაგებია, რომ აღწერილი პროცესის განმავლობაში ღირებულების ინტერიორიზებულობის და პერსონალიზაციის ხარისხი იმატებს¹¹, მაგრამ აუცილებელია მისი მექანიზმის დეტალიზაცია (იხ. ქვემოთ).

სიტუაციური განწყობის სუბიექტური/ენერგეტიკული ფაქტორის-მოთხოვნილების შემდგომი დიფერენციაცია და ფიქსირებული განწყობის აფექტური კომპონენტის საფუძველად ტრანსფორმაცია მისი ინტენსივობის/ძალის ზრდას გულისხმობს. ეს საკითხი (თუ ღირებულებასა და მის ენერგეტიკულ ფაქტორთან დაკავშირებულობას ვიგულისხმებთ), ეხება (ა) ნაკლებად პირადი, უფრო სხვათა, (ბ) გარეგანი, ვიდრე შინაგანი, (გ) სუბიექტურად უცხო/ახალი, (დ) მეტწილად კოგნიტიური/ინფორმაციული ბუნების მქონე მოცემულობის (ცოდნა ღირებულების შესახებ) მიერ სანყისი აფექტური ნიშნების შექმნას. ამ ტრანსფორმაციაში გარდამავალ სტადიად¹² ფიქსირებული

¹¹ ფიქსირებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სიტუაციური განწყობის სტრუქტურაში მოხვედრა არ უზრუნველყოფს ღირებულების და მისი რეალიზაციის მოთხოვნილების მდგრადი კავშირის ჩამოყალიბებას. მდგრადი კავშირის შესახებ შეიძლება მხოლოდ ფიქსირებული წარმონაქმნის შემადგენლობაში ვიმსჯელოთ, რადგან ცნობილია, რომ მთლიანობითი ფიქსირებული წარმონაქმნის ერთი კომპონენტის რეაქტუალიზაცია იწვევს მასთან დაკავშირებული, მასთან ერთად ფიქსირებული მეორე წარმონაქმნის რეაქტუალიზაციას. ჩვენს შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ ღირებულების კონსტრუქციის რომელიმე მდგენელის (გარე - ღირებულებასთან დაკავშირებული სოციალური სიტუაცია, ან შიდა, ფსიქიკური სივრცე - აზრი, სიმბოლო) რეაქტუალიზაცია გამოიწვევს მასთან დაკავშირებული მოთხოვნილებითი დამოკიდებულების რეაქტუალიზაციას, და პირიქით, მოთხოვნილების რეაქტუალიზაციის შემთხვევაში ის მიმართული იქნება სწორედ მასთან დაკავშირებული ღირებულების რეალიზაციაზე. აღნიშნული კავშირების ფიქსირება გულისხმობს კოგნიტიურისა და შეფასებითის მდგრად დაკავშირებულობას/ერთიანობას აფექტურ კომპონენტთან, ანუ ღირებულების მიერ აფექტური თვისებებისა და, შესაბამისად, აღმძრავი უნარის შექმნას, რაც ფიქსირებული განწყობის მთლიანობითი წარმონაქმნის ბაზაზე ხდება.

¹² გასაგებია, რომ აღნიშნული ტრანსფორმაციის სრული აღწერისთვის დამატებითი გამაშუალებელი ეტაპების და მექანიზმების მითითებაა საჭირო. აქ მხოლოდ გაკვრით მივუთითებთ მოლოდინის დატვირთვაზე მოტივაციის პროცესში - სწორედ მოლოდინის მდგომარეობაში წარმოებს კოგნიტიური და აფექტური მოცემულობების ურთიერთქმედება, რომელთა ჯამურ და შემდგომ - ემერჯენტულ პროდუქტსაც წარმოადგენენ ცნობილი, კომპოზიტური კოგნიტიურ-აფექტური მოტივაციური წარმონაქმნები (ნადარეიშვილი).

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

განწყობის შეფასებითი კომპონენტის ფორმირება შეიძლება ჩაითვალოს¹³, რომელიც, ჩვეულებრივ, კოგნიტიური კომპონენტის შემადგენლობაში მოიაზრება. შეფასებითი მომენტის გამოყოფა მნიშვნელოვანია ჩვენი კონტექსტის გათვალისწინებით, რომლის აქცენტიც სუბიექტის გარეთ არსებულის (სოციალური ღირებულება) სუბიექტში ინტერიორიზაცია და მის მიმართ ვალენტური დამოკიდებულების ფიქსირებაა.

დავუბრუნდეთ შეფასებით კომპონენტს, რომელშიც ერთმანეთს ხვდება, უკავშირდება: 1) კოგნიტიური კომპონენტის მოცემულობა, რომელიც (ა) ღირებულების კონცეფციის შინაარსის, მისი რაობის და კონსტრუქციის შესახებ ცოდნას, (ბ) სხვათა მიერ ღირებულებასთან, ანუ მიმართულობის ობიექტთან დაკავშირებული შეხედულებებისა და შეფასებების (რომლებიც ხშირად სოციალური სტრუქტურებით განპირობებულიადითვლება) ცოდნას და (გ) ასეთი შეფასების მიზეზების გაცნობიერებას (ღირებულების ობიექტური ფასეულობის საფუძვლების, ანუ, ღირებულად ჩათვლის კრიტერიუმების, ღირებულების ფასეულობის „საზოგადოებრივი კონცეფციის“ ცოდნა) მოიცავს. ასეთი ცოდნა ღირებულებების მიხედვით აქტივობის დასაშვებობის/ლეგალიზაციის და სარგებლიანობის დადასტურებულობის პრეზუმფციასაც¹⁴ გულისხმობს (თუ ღირებულება სამართლის ნორმაში აისახა, ის უმრავლესობის მიერ აღიარებული ან დადგენილი ქცევის ზოგადი წესის სტატუსს იძენს); 2) საკუთრივ შეფასებითი ასპექტი, რომელიც სუბიექტის მიერ სხვათა მიერ ღირებულების შეფასების ანალიზსა და საკუთარი ინტერესების, სარგებლის მიღების შესაძლებლობის პოზიციიდან ღირებულების შესახებ დასკვნაზე დამყარებულ შეფასებას გულისხმობს. შეფასებითი საფეხური ფასეულობის აღიარების წინარე პროცედურაა და მხოლოდ ფასეულობის დადგენის შემდეგ ხდება მის მიმართ აფექტური (ემოციები, გრძნობები დაკავშირებული ობიექტთან) დამოკიდებულების ჩამოყალიბება. შეფასება სხვათა (სუბიექტს მიღმა) პოზიციის გათვალისწინებით და საკუთარი გათვლის (მეტწილად, კოგნიტიური, ანუ ნაკლებად აფექტური სფეროს ჩართულობა) საფუძველზე წარმოებს, ამიტომ პირობითად, დავაცალკევებ ფიქსირებული წარმონაქმნის დიფერენციაციის ეს საფეხური როგორც კოგნიტიური, ისე აფექტური საფეხურისგან, რადგან რაიმეს დადებითად შეფასება მის მიმართ მოთხოვნილებითი/ვალენტური დამოკიდებულების არსებობას მხოლოდ თეორიულად გულისხმობს. სხვას სიტყვებით, შეფასებითი ასპექტი „დადებითი-უარყოფითის“ კატეგორიას, ხოლო აფექტური „მინდა-არ მინდას“ კატეგორიას განეკუთვნება. ღირებულების რეალიზაციის შედეგების სარგებლიანობის

აღნიშნული ურთიერთქმედებისას სუბიექტური ალბათობის და ვალენტობის ურთიერთგაძლიერების პროცესი მიმდინარეობს, რის შედეგადაც, ჯამურ პროდუქტში, ანუ მოტივაციურ წარმონაქმნში ინკორპორირებული ღირებულება აქტივობის სტიმულირებისთვის საკმარის ვალენტობას იძენს.

¹³ იგულისხმება ათითუდის ტრადიციულ სამ კომპონენტთან ერთად მეოთხე კომპონენტის მნიშვნელობის გამოკვეთაც.

¹⁴ მოცემული საკითხი მიემართება მოსალოდნელი მოვლენის (ღირებულების, როგორც შესაძლებლის კატეგორიის, რეალიზაცია ყოველთვის მომავალთანაა დაკავშირებული) ხდომილებაში დარწმუნებულობის ხარისხის მნიშვნელობასთან განწყობის ფორმირებას (ნადარეიშვილი, განწყობა და მოლოდინი, 1993).

საკუთარი შეფასებით დადასტურების შემთხვევაში მის მიმართ, როგორც სარგებლის/სიკეთის მომტანი, ინსტრუმენტალური ფუნქციის მქონე მოცემულობის მიმართ, აქამდე არარსებული, უკვე სრულად სუბიექტივირებული ემოციურ-გრძნობადი დამოკიდებულება, მისი ფასეულობის განცდა ჩნდება, რასაც მოჰყვება ღირებულების პოტენციური სიკეთეებიდან წილის მიღების სურვილი, ეს კი მისთვის სასურველობის, ვალენტობის მინიჭებას გულისმობს. შემდეგი ეტაპი სარგებლის მომტანი ღირებულების პოტენციალის აქტივობის მეშვეობით რეალიზაციისკენ სწრაფვას, ტენდენციას მოიცავს. სხვა სიტყვებით, ღირებულების რეალიზაციასთან დაკავშირებული სარგებლის მიღების შესაძლებლობის არსებობა სასურველს/შესაძლოსა და არსებულ მდგომარეობებს შორის განსვლასთან დაკავშირებულ, ნონასწორობის დარღვევის და მოთხოვნილების ფორმირების, ცნობილ მოდელს გულისხმობს, იმ განსხვავებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში: ა) ნონასწორობის დარღვევაში სოციალური წარმომავლობის წარმონაქმნი მონაწილეობს, ბ) ნონასწორობის დარღვევა სუბიექტის ცნობიერი აქტივობის შედეგს წარმოადგენს, გ) აღნიშნული აქტივობა მოიცავს ღირებულების ინტერიორიზაციის პროცესს და აუცილებელი დამხვედური განწყობის ფორმირება კონკრეტულ მოცემულ ღირებულებასთან ურთიერთობის პროცესში და მისივე საფუძველზე ხდება, დ) ინტერიორიზაციის გარეშე ღირებულება ვერ იქნება ნონასწორობის დარღვევისა და მისი აღდგენის მასტიმულირებელი ფაქტორი; ე) საქმე გვაქვს არა ნამყო ნონასწორობის აღდგენის, არამედ, აქამდე არარსებული ნონასწორობის მდგომარეობისკენ მისწრაფებასთან (ნადარეიშვილი, განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში, 2013). ცნობილია, რომ ნონასწორობის დარღვევა მისი აღდგენის ან მიღწევის ტენდენციას ბადებს, რომლის რეალიზაცია ღირებულების შესაბამისი ქცევის ინიციაციასთანაა დაკავშირებული. ზემოთ, მათი წარმომავლობის და სტრუქტურის გათვალისწინებით, არა იმდენად საკუთრივ მოთხოვნილებების, არამედ მოტივაციური წარმოქმნების ან, უფრო ზოგადად, ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა დონის კუთვნილი (გასხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული), აღმძრავი/ენერგეტიკული ფაქტორების სოციალური ღირებულებების საფუძველზე ფორმირების კანონზომიერებები განიხილებოდა. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური სისტემის ე.წ. ლატენტური ფუნქცია (Parsons, The Social System, 2005), რომელსაც, ზოგადად, კულტურა (და, მათ შორის, სამართლებრივი კულტურა) უზრუნველყოფს, არა მხოლოდ კულტურული პატერნების მდგენელების ინფორმაციული თუ თეორიული ასპექტების შენარჩუნება და გადაცემაა¹⁵, არამედ ღირებულებების მიმართ მდგრადი აფექტური დამოკიდებულებისა და შესაბამისი ქცევითი ტენდენციის უზრუნველყოფა, მათი მამოტივირებელი დატვირთვის/ქმედითობის შენარჩუნება და გაძლიერებაა.

¹⁵ ასეთ შემთხვევაში განწყობის მხოლოდ კოგნიტიური და შეფასებითი კომპონენტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს აფექტური და კონატური კომპონენტების არასათანადო ჩამოყალიბებულობის ფონზე. კომპონენტების ასეთი სპეციფიკა არასრული სტრუქტურიზაციის განწყობას ახასიათებს, რომელმაც აქტივობაზე (გ. ოლპორტის ტერმინებით (Allport, 1961) არა „მამოტივირებელი“, არამედ საუკეთესო შემთხვევაში „სტილისტური“ ზეგავლენა შეიძლება იქონიოს.

ფიქსირებული და სიტუაციური დისპოზიციური ფსიქიკური წარმონაქმნების ურთიერთმიმართება

აღნიშნული ფუნქციის პერსონალურ დონეზე რეალიზაციის აღწერის ვარიანტია ღირებულებებისა და ნორმების ფსიქიკური არსებობის ფორმად, თვითაქტივაციისა და სიტუაციური განწყობის მეშვეობით ქცევის აღძვრის უნარის მქონე დისპოზიციური განწყობების იდენტიფიცირება (ნადარეიშვილი, პიროვნება და ნორმატიული ქცევა, 2010), რომელთა ფორმირებისთვის აუცილებელი მასალის მიწოდებას სოციოკულტურული სივრცე უზრუნველყოფს.

დასკვნა

ფსიქიკური რეგულაციის უმაღლეს საფეხურებზე აქტივობის ენერგეტიკული უზრუნველყოფის ერთ-ერთი წყარო სოციალური ღირებულებებია. აღნიშნული ფუნქციის შესაძენად აუცილებელია სოციოკულტურულ სივრცეში არსებული ღირებულებების და მათთან დაკავშირებული სოციალური/საზოგადოებრივი განწყობების პერსონალურ ფსიქიკურ წარმონაქმნებად ტრანსფორმირება. ინტერიორიზაციის პროცესი გულისხმობს ღირებულებებისთვის სანყისი სუბიექტური ვალენტობის მინიჭებას, მათდამი მოთხოვნილებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მათ საფუძველზე სიტუაციური განწყობისეული წარმონაქმნის ფორმირებას. განწყობის ფიქსირებული ფორმის ჩამოყალიბების კვალობაზე, მოლოდინის პროცესის მონაწილეობით და განწყობის შეფასებითი კომპონენტის შუალობით, ღირებულებების ვალენტობა იზრდება და აღნიშნულ წარმონაქმნში ინკორპორირებული ღირებულებები იძენენ სრულფასოვანი აფექტური კომპონენტის დატვირთვას და კოგნიტიურ და კონატიურ კომპონენტებთან ერთად უზრუნველყოფენ აქტივობისთვის მზაობის ფორმირებას, რომელიც ღირებულებების რეალიზაციაზე მიმართულ ქცევას ედება საფუძველად. მოცემული მიდგომით, თავდაპირველად სუბიექტისთვის, მეტწილად, კოგნიტიური მოცემულობის მქონე სოციალური კონსტრუქტი - ღირებულება, აფექტური ასპექტის შესაბამისად, აქტივობის აღძვრის უნარს განწყობისეულ ფსიქიკურ წარმონაქმნებში ინკორპორირებისა და მის სტრუქტურულ მდგენელებთან ურთიერთქმედების მეშვეობით იძენს.

სოციალიზაციისა და სამართლებრივი კულტურის ფორმირების მიზანი ღირებულებების საფუძველზე ისეთი უზოგადესი, „დისპოზიციური განწყობების“ ფორმირებაა, რომლებსაც (ა) ნორმატიულობის კატეგორიაში შემავალი ყოველი ახალი მოცემულობის ასიმილირება და (ბ) მათ საფუძველზე, ფიქსირებული, ანუ გარანტირებულად ნორმატიული ქცევითი რეაქციის განხორციელების უზრუნველყოფა შეუძლიათ. ასეთი განწყობების არსებობა სოციალური კონტროლის ინტეგრაციული ვარიანტის დომინირების, შესაბამისად, დევიაციის რისკის შემცირების და, ასევე, დემოკრატიის განვითარების საფუძველია.

საფიქრებელია, რომ ტექსტში შემოთავაზებული მიდგომები ხელს შეუწყობს კოგნიტიური ფსიქოლოგიისა და განწყობის ფსიქოლოგიის მიმართულებების ახსნითი პოტენციალის სინთეზური გამოყენების შემდგომი მცდელობების წარმატებულობას სოციალური და პერსონალური ველის მოვლენების მიმართების გასაანალიზებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბალიაშვილი, მ. (1980). *სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა*. თბილისი.
- ნადარეიშვილი, ვ. (1993). *განწყობა და მოლოდინი*. თბილისი: თსუ.
- ნადარეიშვილი, ვ. (2010). პიროვნება და ნორმატიული ქცევა. *ფსიქოლოგია*, XXII.
- ნადარეიშვილი, ვ. (2013). განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში. *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე*, 66-86.
- ნადარეიშვილი, ვ. (2016). განწყობის დიფერენციაციის საკითხები. თბილისი. თსუ -177 182.
- ნადირაშვილი, შ. (1985). *განწყობის ფსიქოლოგია*. თბილისი: მეცნიერება.
- ნადირაშვილი, შ. (2001). „განწყობის ანთროპოლოგიური თეორია“, თბილისი.
- სურმანიძე, ლ. (2010). *კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში*. თბილისი.
- უზნაძე, დ. (1977). *შრომები* (ტ. VI).
- უზნაძე, დ. (2009). *განწყობის ფსიქოლოგია*. თბილისი.
- ჩარკვიანი, დ. (2019). *ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი*, 1.
- Allport, G. (1961). *Pattern and growth in personality*. N.Y.
- Merton, R. (1971). *Contemporary social problems*. N.Y.
- Nadareishvili, V., & Chkheidze, T. (2015). Legal culture and legal consciousness in terms of set and attitude. *European Scientific Journal*, 123-129.
- Parsons, T. (2005). *The Social System*.
- Леонтьев, Д. (1998). *Психологическое обозрение*, 1.
- Философский энциклопедический словарь*. (1989). М.
- Психологический лексикон*. (2006). М : ПЕР СЭ.

INTERRELATIONSHIP BETWEEN FIXED AND SITUATIONAL MENTAL ENTITIES

Vakhtang Nadareishvili

Tbilisi State University

Abstract

According to our assumption, D. Uznadze's situational set is a mental entity, similarly to attitude, personality trait and fixed set. Situational set is the basis of the formation of fixed set and vice versa (i.e. it can be a further differentiation stage of fixed set, its product).

Fixed dispositions are realized in behavior through situational set. For this purpose, situational set organizes the structural components of the fixed disposition and unites them with the actual givenness of a specific moment. In addition, successful behavioral realization ensured by situational set improves the characteristics of dispositional set (ნადირაშვილი, 1985) and increases the effectiveness of adaptation achieved through its participation.

At the high levels of mental activity, behavior is regulated with the involvement of conscious resources. The article focuses on conscious regulation, which, for the purpose of analysis, is distinguished from the unconscious regulation ensured by underlying set. The above resources take part in the internalization of social values and their use for the formation of individual/personal sets.

The proposed approach confirms a) an organic relationship between different forms and types of set; b) the possibility of their synergic relationship and mutual transformation; c) the existence of different, but mutually supplementary sources (including the sources of socio-cultural origin, e.g. common values) endowing activity with the needed energy; d) the possibility and necessity of the inclusion of D. Uznadze's situational set in the international theoretical and methodological context related to 'dispositional' constructs.

Our approach is also productive for the further elaboration of the relationship between the constituents of legal culture (e.g. legal awareness) and normative behavior when their unity is based on two, interrelated forms of set – fixed and non-fixed disposition, i.e. 'dispositional' and situational sets.

Key words: assimilation, interiorization, common value, set, disposition

